შენიშვნა: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2023 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით უცვლელი დარჩა ეთიკის კომისიის 2023 წლის 03 ნოემბრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე N033/22 (საქმე Nსსდ-07-23).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე - კოლეგიის წევრი

მომართვის ავტორი: საქართველოს გენერალური პროკურატურა

მომართვის ავტორის წარმომადგენელი: ირაკლი ცირეკიძე

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.04.2022 წ.

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 033/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის /სიითი №6128/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **მომართვის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 27 აპრილს საჩივრით მომართა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ და მოითხოვა ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომართვის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა 2022 წლის 16 აპრილს საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ „Facebook"-ის გვერდს გაუგზავნა პროკურატურის თანამშრომელთა მიმართ შეურაცხმყოფელი შინაარსის შემცველი ტექსტი და ისინი მოიხსენია როგორც „ნაბოზრები" და „სახელმწიფოს მტრები". ამავე ტექსტში, ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი საქართველოს პროკურატურის მიმართ იყენებს მუქარის და შეურაცხყოფის

შემცველ სიტყვებს „დედას გიტირებთ“. ამავე დღეს ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი საკუთარ „Facebook“-ის გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნებულ ტექსტში პროკურატურის თანამშრომლებს მოიხსენიებს როგორც „ქვეყნის მოღალატეებს“; „სახელმწიფოს მტრებს“; „ქვეყნის შემარცხვენლებს“; „გამყალბებლებს“; „მექრთამეებს“, ხოლო საქართველოს პროკურატურას კი „გველების ბუდედ“. ადვოკატმა საჯარო განცხადება განათავსა პირად „Facebook“-ის გვერდზე სახელწოდებით: „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი/Lawyer Lasha janibegashvili“. დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ გვერდზე ეს განცხადება აღარ მოიპოვება, თუმცა ამავე გვერდზე 2022 წლის 21 აპრილს ლაშა ჯანიბეგაშვილს გამოქვეყნებული აქვს ანალოგიური შინაარსის განცხადება.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიერ წარმოდგენილი მიმოწერის ამსახველი ამონაბეჭდი ავთენტურია, რადგან იდენტიფიცირებადია ლაშა ჯანიბეგაშვილის მობილური ტელეფონის ნომერი, დაბადების თარიღი 28 აგვისტო და მისი სამუშაო ადგილი „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი/Lawyer Lasha janibegashvili”. აღნიშნულ „Facebook“-ის გვერდს თავად ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი მართავს, რაც დასტურდება მის მიერ თითქმის ყოველდღიურად განხორციელებული აქტივობებით და მათი შინაარსით.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, დღეის მდგომარეობით, „Facebook“-ის იმ გვერდის სახელწოდება, რომლის საშუალებითაც ლაშა ჯანიბეგაშვილმა 2022 წლის 16 აპრილს, საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ „Facebook“ გვერდს გაუგზავნა პროკურატურის თანამშრომელთა მიმართ შეურაცხმყოფელი შინაარსის შემცველი ტექსტი, შეცვლილია და დაფიქსირებულია როგორც „ლაშა ჯანიბეგაშვილი“. ამ გვერდის გახსნით და შესწავლით ასევე დგინდება, რომ გვერდს მართავს ლაშა ჯანიბეგაშვილი და არ წარმოადგენს მისი სახელით შექმნილ ყალბ გვერდს, როგორც თავად ადვოკატი აცხადებს წერილობით განმარტებაში.

1.5 საქმის განხილვისას საჩივრის ავტორმა დამატებით წარმოადგინა ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში წარდგენილი 2022 წლის 16 აპრილის N01/13-3690, 2022 წლის 17 აპრილის N01/13-36091 და 2022 წლის 19 აპრილის N01/13-37134 წერილები. მომჩივანის პოზიციით, ამ წერილებით დამატებით დასტურდება ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ 2022 წლის 16 აპრილს გამოქვეყნებული საჯარო პოსტის ავთენტურობა. ასევე, საჩივრის ავტორმა წარმოადგინა ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ „Facebook“ მომხმარებლის „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი . lawyer lasha janibegashvili“ მეშვეობით გამოქვეყნებული პოსტი შინაარსით: „მაინტერესებს ვიმსჯელოთ:-დავუშვათ პროკურატურას ვაგინე დეის გტ@ი. დედა ჰყავს პროკურატურას?? თუ არ ვიცი რამე“, რომელიც ადვოკატმა მოგვიანებით ასევე წაშალა.

1.6 საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატის ვალდებულება - არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები, არ შეიძლება გაგებულ იქნეს ვიწროდ - ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება ბრალდების მხარის, როგორც პროცესის მონაწილის მიმართაც, ვისაც ადვოკატმა პატივი უნდა სცეს პროფესიული საქმიანობის მიღმაც. მომჩივანი არ იზიარებს ადვოკატის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ის კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულია და არა მხარის წარმომადგენელი და მასზე არ ვრცელდება პროფესიული რეგულაცია. მომჩივანი განმარტავს, რომ საზოგადოებისათვის ცნობილია ლაშა ჯანიბეგაშვილის სტატუსი და მისი ქმედება აღიქმება არა როგორც ფიზიკური პირის, არამედ როგორც ადვოკატის ქმედება.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის საჯაროდ გაკეთებული განცხადება არ ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ ფარგლებში, რადგან ადვოკატი საჯაროდ გაკეთებული განცხადებით გასცდა პროფესიული კრიტიკის დასაშვებ ფორმას; ადვოკატის გამოხატვამ შელახა პროცესის მონაწილეთა პატივი, ღირსება და მათ მიაყენა შეურაცხყოფა. ტექსტი არის შეურაცხმყოფელი, ცილისმწამებლური, უხამსი და არ წარმოადგენს ეთიკურ ქცევას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა 2022 წლის 6 მაისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განმარტებით, დიდუბე-ჩუღურეთის პირველ სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება, ამ საქმეში ის არის არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარისაგან“ დაზარალებული. ამ ორგანიზაციის ადვოკატმა, ე. რ.-მ, მისი სახელით შექმნა „Facebook“-ის ყალბი ანგარიშები. ადვოკატმა ე. რ.-მ მსხვერპლად შენიღბულ პროვოკატორთან ერთად შექმნა და აწარმოა ყალბი მიმოწერები, რითაც შეცდომაში შეიყვანა მართლმსაჯულება და შემდეგ მას ცილი დასწამა არაერთი სატელევიზიო ეთერით. შესაბამისად, ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ პროკურატურის მიერ სადავოდ გამხდარი მიმოწერა შექმნილია ე. რ.-ის მიერ, გრანტის აღების მიზნით. ადვოკატი განმარტავს, რომ ამ საქმეზე არაერთხელ მიმართა გენერალურ პროკურატურას, რომ საქმე გამოეძიებინათ და დაესაჯათ დამნაშავე პირები, ნაცვლად ამისა, პროკურატურის გენერალური ინსპექცია მას - დაზარალებულს, უჩივის ეთიკის კომისიაში.

2.2 ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა აგრეთვე განმარტა, რომ მის წინააღმდეგ განხორციელდა ჰაკერული თავდასხმა, გაუტეხეს „Facebook“ ანგარიში „ლაშა ჯანიბეგაშვილი“ სადაც 4700 „მეგობარი“ ყავდა და ასევე „Facebook“ ჯგუფები 102000 და 27000 ადამიანის შემადგენლობით, აღნიშნულზე ადვოკატმა განაცხადა პოლიციაში. ამასთანავე, ადვოკატმა აღნიშნა, რომ მისი პოსტები დაცვის მაღალი ხარისხით სარგებლობს, რადგან ის დაზარალებულია და უკმაყოფილოა პროკურატურის თანამშრომლების უმოქმედობით.

2.3 ადვოკატი სადავოდ ხდის წარმოდგენილ მტკიცებულებებს და უარყოფს სადავო სიტყვების მისადმი კუთვნილებას. ამავე დროს ადვოკატი მიიჩნევს, რომ არსებობს საქმეზე დისციპლინური წარმოების შეწყვეტის საფუძვლები შემდეგი გარემოებების გამო: ის არ წარმოადგენს სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატს და არც პროცესის მონაწილეა, რომელსაც ექნებოდა ეთიკური ვალდებულებები პროკურატურის მიმართ, ადვოკატი არ იცნობს ირაკლი ცირეკიძეს და ის არასათანადო მოპასუხეა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, სოციალურ ქსელში ფეისბუქში პროფილი „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი/lawyer lasha janibegashvili“ მას არ ეკუთვნის და მას არ გამოუქვეყნებია სადავო პოსტი აღნიშნულ გვერდზე. ამასთან, პროკურატურის მიერ წარმოდგენილ სქრინში ასახული გვერდის ბმული და დასახელება არ ემთხვევა მისი ოფიციალური გვერდის ბმულს და მონაცემებს. ადვოკატის განმარტებით, სადავო პოსტის გამოქვეყნების დროისთვის მასზე ხშირად ხორციელდებოდა ჰაკერული თავდასხმები, რის გამოც მან დაიქირავა თანამშრომელი, რათა დაეცვა თავისი ციფრული რესურსები, ასევე, ამავე პიროვნებასთან გაიარა სოციალური მედიის კურსი. აღნიშნულ პიროვნებას, რომლის სახელის ჯ. ა., ადვოკატმა მიწერა დ. გ.-ის პროფილით 2022 წლის 22 აპრილს. ადვოკატი განმარტავს, რომ რომც დადასტურდეს, რომ ეს განცხადებები მის გვერდზე ნამდვილად იყო განთავსებული, ისინი მას არ დაუწერია. ადვოკატის განმარტებით, საქმეში წარმოდგენილია გამოძიების დაწყების ცნობა იმასთან

დაკავშირებით, რომ მას სოციალურ ქსელ „Facebook“-ის გვერდები გაუტეხეს. ამ ფაქტზე გამოძიება დაიწყო 2022 წლის 16 აგვისტოს. 23 აპრილის განცხადებასთან დაკავშირებით მან აცნობა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს, რომლებმაც ზეპირ საუბარში განუმარტეს, რომ აზრი არ ექნებოდა გამოძიების დაწყებას, რადგან სოციალურ ქსელ ფეისბუქს საქართველოში არ ჰყავს ოფიციალური წარმომადგენელი.

2.5 ადვოკატის განმატებით, მან არაერთხელ გამოთქვა წუხილი, რომ მისი სოციალური ქსელის „Facebook“-ის გვერდებით ვრცელდებოდა სხვადასხვა შინაარსის ცრუ ინფორმაცია. ადვოკატი მიიჩნევს, რომ საქართველოს პროკურატურის მიერ სადავოდ გამხდარი ერთ-ერთი ფრაზა - „გველების ბუდე“ არის შეურაცხმყოფელი, მაგრამ მას აღნიშნული ან სხვა შეურაცხმყოფელი ტერმინით არ მიუმართავს ირაკლი ცირეკიძისათვის. ადვოკატის შეფასებით, მას არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ქცევის რომელიმე სტანდარტი და საჩივარი დაუსაბუთებელია.

3. მხარეთა შუამდგომლობები:

3.1 განხილვის ეტაპზე რამდენიმე არსებითი განხილვის სხდომა ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც მოპასუხე ადვოკატმა ისარგებლა შუამდგომლობათა დაყენების უფლებით, კერძოდ:

2023 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზე კოლეგიამ განიხილა ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის შუამდგომლობა საქმისთვის ექსპერტიზის დასკვნის დართვისა და დასკვნის მომზადებამდე, წარმოების შეჩერების შესახებ. ადვოკატმა კოლეგიას განუმარტა, რომ 2023 წლის 4 ოქტომბერს წარადგინა კონკრეტული მოთხოვნა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სადაც ითხოვს დადგენას, თუ რომელი აიპი მისამართიდან განთავსდა სადავო პოსტები, ვინ განათავსა და ვინ წაშალა. კოლეგიამ ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა შემდეგი მიზეზების გამო: 1. აიპი მისამართების იდენტიფიცირებით ვერ დადგინდება პოსტების განმათავსებელი; 2. წარმოების საპროცესო ეტაპზე ადვოკატმა არ უარყო ის ინფორმაცია, რომ მან განათავსა კონკრეტული პოსტები და განმარტა, რომ პოსტის შინაარსი ჯდებოდა მისი გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. 3. ექსპერტიზის ბიუროს „მიღების ბარათში“ არ არის იდენტიფიცირებული, თუ რა ნივთმტკიცებები წარადგინა ადვოკატმა ექსპერტიზისთვის.

3.2 2023 წლის 9 ოქტომბრის სხდომაზე ადვოკატმა კოლეგიას ინგლისურ ენაზე წარმოუდგინა სხვადასხვა ტიპის მასალა, მტკიცებულების სახით სქრინის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით არსებული სხვა ქვეყნების პრაქტიკა და მოითხოვა აღნიშნული მასალის დისციპლინური საქმისათვის დართვა. კოლეგიამ არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა, ვინაიდან საინფორმაციო ხასიათის მასალა წარმოდგენილი არ იყო მის მიერ სამართალწარმოების ენაზე.

3.3 2023 წლის 9 ოქტომბრის სხდომაზე ადვოკატმა მოითხოვა: სხდომის რეალურ სივრცეში ჩატარება; კოლეგიის წევრთა მიერ იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მისთვის წარდგენა; ადვოკატის შუამდგომლობები არ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ეთიკის კომისია განსაზღვრავს დისციპლინური წარმოების ფარგლებში სხდომების ჩატარების ფორმატს და შერჩეულია ზეპირი მოსმენებისთვის დისტანციური სხდომები, რომელიც ორგანიზებულად, ტექნიკური შეფერხების გარეშე მიმდინარეობს ეთიკის კომისიის მხრიდან. კოლეგიის წევრთა იურიდიული განათლების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის ადრესატი უნდა იყოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, სადაც ინახება წევრთა განათლებისა და გამოცდილების შესახებ დოკუმენტაცია.

3.4 2023 წლის 11 ოქტომბრის სხდომაზე კოლეგიამ განიხილა და ადვოკატ ზ. ვ.-ის მომართვა არ გაიზიარა, რომლითაც ის ითხოვდა განსახილველ საქმეში მესამე პირად ჩართვას. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულება, სადაც მოწესრიგებულია ის პროცედურული წესები, რომლითაც საქმის განხილვისას ხელმძღვანელობს ეთიკის კომისია, არ ითვალისწინებს საქმეში მესამე პირის ჩართვას. დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობს საჩივრის ავტორი (პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქცევის მისი უფლებები დაირღვა), მოპასუხე ადვოკატი და მათი წარმომადგენლები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ამავე დღეს ადვოკატმა ზ. ვ.-მა კოლეგიას მიმართა წერილობით ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის წარმომადგენლის მ. ჭ.-ს წარმომადგენლის სტატუსით ორდერის საფუძველზე და კოლეგიას აცნობა მ. ჭ.-ს სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზი. კოლეგიამ ადვოკატ ზ. ვ.-ის წერილს წერილობით უპასუხა, რომ წარმომადგენლის უფლებამოსილება დგინდება კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული საბუთით - მინდობილობით, ამასთან, საქმისწარმოების პროგრამის მონაცემებით მ. ჭ. არ წარმოდგენდა რომელიმე დისციპლინური საქმის მხარეს, რომ შეძლებოდა ესარგებლა წარმომადგენლის დახმარებით.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2022 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის პირველმა საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე დადგინდა, რომ ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა, სოციალურ ქსელ „Facebook“-ის პირად გვერდზე განათავსა საქართველოს გენერალური პროკურატურის და მისი თანამშრომლების მიმართ შეურაცხმყოფელი, პატივისა და ღირსების შემლახველი, ცილისმწამებულური და უხამსი საჯარო „პოსტი“, შესაბამისად, ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები.

4.3 საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე კოლეგიამ არ შეაფასა საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ სადავოდ გამხდარი ფრაზების ის ნაწილი, რომელიც მიიღეს სოციალურ ქსელ „Facebook”-ის პირად მიმოწერაში, რომელიც არ გამხდარა საჯარო. ამავე დროს, კომისიამ განმარტა, რომ სასურველია ადვოკატებმა პირად შეტყობინებაშიც დაიცვან პროფესიული ეთიკის რეგულაციები.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში აქვს დაზარალებულის სტატუსი და მისი განცხადების საფუძველზე, არაერთ საქმეზე მიმდინარეობს

გამოძიება. პროკურორები - ვ. გ. და კ. ნ. აწარმოებენ საქმეს ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიმართვის საფუძველზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *მხარეთა ზეპირი და წერილობითი პოზიციები;*
2. *პროკურატურის პასუხი ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს;*

4.1.2 2022 წლის 16 აპრილს სოციალურ ქსელ „Facebook"-ის მომხმარებლის გვერდიდან „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი/lawyer lasha janibegashvili" საჯაროდ გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის „პოსტი": ქვეყნის მოღალატეებად და სახელმწიფოს მტრებად ვაცხადებ დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორებს: ვ. გ.-ს და კ. ნ.-ს, ეს 2 ვაჟბატონი სამსახურებრივად მფარველობენ არასამთავრობო ორგანიზაციის საფარის პროვოკატორებს და მათ უამრავ დანაშაულებს ხელს აფარებენ! მათ მიმართ სასჯელის უმაღლეს ზომების მიღებას მოვითხოვ! ეს 2ბოროტმოქმედი ქვეყანას არცხვენს თავის დანაშაულებრივი საქმიანობით დანაშაულებზე აშკარა ხელის დაფარებით! (6ჯერ ნასამართლევი პირია ერთერთი დამნაშავე ვისაც მფარველობენ) ქართული ოცნება/Georgian Dream სასწრაფოდ გაყარეთ სამსახურებიდან მექრთამე საქმის გამყალბებელი პროკურორები და სამართლიანი მართლმსაჯულება დაადგინეთ ქვეყანაში!!!!! საქართველოს პროკურატურა / The Prosecution Service of Georgia საქართველოს მთავრობა ვინცარ იცით დიდუბე-ჩუღურეთის 2 პროკურორი წინა წლებში ქრთამის ღებებზე დაჭერილები. გველების ბუდედ იქცა პროკურატურა. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია წმინდა მანა გაბრიელი პროკურატურის გვერდით გავლისას ინერწყვებოდა და პირჯვარს იწერდა ღმრთ ამათ სამართალში არასდროს არ ჩამაგდოვო....". „პოსტს" ერთვის ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის ფოტო წარწერით „ქვეყნის მოღალატეებად გაცხადებთ".

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2022 წლის 16 აპრილის „პოსტი"

4.1.3 2022 წლის 21 აპრილს სოციალურ ქსელ „Facebook"-ის მომხმარებლის გვერდიდან „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი/lawyer lasha janibegashvili" საჯაროდ გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის პოსტი:

„ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გავაკეთე, რომელიც დაბლოკეს!! პროკურორები და გენერალური პროკურორი (ქვეყნის მთავარი ბრალმდებელი) ირაკლი შოთაძე და მისი მოადგილეები სახელმწიფო ღალატში დამნაშავეების მფარველობაში ღიად დავადანაშაულე და მათი თანამდებობიდან მოხსნა მოვითხოვე!! დღეს საქართველოს პროკურატურა არის ქვის ხანაში ხალხო! გველების ბუდედ იქცა!!

ქვეყნის მოღალატეებად და სახელმწიფოს გამყიდველ მტრებად ვაცხადებ დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორებს: ვ. გ.-ს და კ. ნ.-ს და არამარტო მათ. ეს 2 ვაჟბატონი სამსახურებრივად მფარველობენ ბ. პ.-ს არასამთავრობო ორგანიზაციის საფარის პროვოკატორებს და მათ უამრავ დანაშაულებებს ხელს აფარებენ!

საქმეში არსებობს როელიც 2 ტომზე მეტია ცრუ ჩვენების მიცემა, მტკიცებულების ფალსიფიკაცია, ყალბი დოკუმენტების დამზადება გამოყენება და სხვა უამრავი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, გამომძიებელს არაერთხელ აქ თვითაცილების განცხადება დაწერილი ზეწოლის გამო.

ასეთი პროკურორები ქვეყანას არცხვენს, დანაშაულებზე აშკარა ხელის დაფარებით! (ნჯერ ნასამართლევი პირია ერთერთი დამნაშავე ვისაც მფარველობენ) ქართული ოცნება/Georgian Dream სასწრაფოდ გაყარეთ სამსახურებიდან მექრთამე საქმის გამყალბებელი პროკურორები და სამართლიანი მართლმსაჯულება დაადგინეთ ქვეყანაში!!!!! საქართველოს პროკურატურა / The Prosecution Service of Georgia საქართველოს მთავრობა

ადგილი აქვს სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებით დარღვევას.

პრემიერ მინისტრ ღარიბაშვილს მივმართავ გენერალური პროკურორის იმპიჩმენტის საკითხი დადგეს. მე არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი ვარ, ეს განცხადება არაა პოლიტიკური. Formula . ფორმულა TV Pirveli . ტელეკომპანია პირველი მთავარი არხი . Mtavari Arkhi

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2022 წლის 16 აპრილის „პოსტი“

4.2 სადავო ფაქტები:

მხარეთა შორის სადავოა, კონკრეტული 2022 წლის 16 აპრილისა და 2022 წლის 21 აპრილის „პოსტები“, რომელიც გამოქვეყნებული იყო სოციალურ ქსელში „Facebook“ დაწერილია თუ არა ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ.

კოლეგიამ შეაფასა სადავო ფაქტის მტკიცების ტვირთი და განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარმოუდგინოს საკუთარი პოზიციის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. ამავდროულად, 2022 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებით საქმეზე Nას-521-22, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „მტკიცების ტვირთის გადანაწილების დროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ის, თუ როდის გადადის მტკიცების ვალდებულება ერთი მხარიდან მეორეზე. როგორც წესი, ფაქტის მითითებისა და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურ სამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი“; ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „მოსამართლეს დავის გადასაწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა წარდგენაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეებს და საქმეზე გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში“.

საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილია „სქრინები“ სოციალური ქსელი „Facebook“-იდან, რომელთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ 1. აღნიშნული განცხადებები გამოქვეყნებული არის სოციალურ ქსელ „Facebook“-ის მომხმარებლის გვერდიდან „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი/lawyer lasha janibegashvili“, სადაც მითითებულია, ადვოკატის ტელეფონის ნომერი, საქმის კონკრეტული გარემოებები; საქმის შინაარსის შესახებ ისეთი დეტალები რომლებიც მხოლოდ ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის შეიძლება რომ სცოდნოდა 2. ადვოკატს არასოდეს მიუმართავს სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რომ სოციალურ ქსელ „Facebook“-ის ზემოაღნიშნული გვერდი გაუტეხეს ან მოხდა მასზე უკანონო წვდომა. ადვოკატმა კოლეგიას წარმოუდგინა საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს მიერ 2022 წლის 03 ოქტომბერს

გაცემული ცნობა, რომლის თანახმად, ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა 2022 წლის 18 აგვისტოს მიმართა პოლიციას განცხადებით, სადაც იგი აცხადებდა, რომ 16 აგვისტოს ამ ეტაპზე დაუდგენელმა პირმა უნებართვოდ შეაღწია მის კუთვნილ სოციალურ ქსელ „Facebook"-ის პროფილზე - „ლაშა ჯანიბეგაშვილი", რის შემდეგაც ამ პროფილზე მიბმულ ორ ფეისბუქ ჯგუფზე სახელებით „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი ----" და „საქართველო", ჩამოერთვა ადმინისტრატორის უფლებები ლაშა ჯანიბეგაშვილის პროფილს და მისი მეუღლის, მ. ჭ.-ს პროფილს. აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. თუმცა, მას ანალოგიური განცხადებით არ მიუმართავს სოციალურ ქსელ „Facebook"-ის მომხმარებლის „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი/lawyer lasha janibegashvili" - ის შესახებ. 3. ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს საჯაროდ არასოდეს უარყვია, რომ ის გამონათქვამები, რომლებიც მისი „Facebook" პროფილიდან გამოქვეყნდა, მის მოსაზრებას არ წარმოადგენს, არ გამოუთქვამს არანაირი სინანული ან უარყოფა. 4. კოლეგია არ იზიარებს ადვოკატის მოსაზრებას, რომ ინფორმაციის არქონის პირობებში გამოქვეყნდა კონკრეტული „Facebook" გვერდიდან „პოსტები", ხსენებულთან მიმართებით ჯეროვანი არგუმენტი არ არის ის რაც მოპასუხე ადვოკატმა წარმოადგინა - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა. ეს დასკვნა ეხება სხვა „Facebook" გვერდს („ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი . lawyer lasha janibegashvili") და კოლეგიას არ უმსჯელია სოციალურ ქსელ „Facebook" სხვა გვერდიდან რაიმე განცხადება გაკეთდა თუ არა 2022 წლის აპრილში; კონკრეტულად, ადვოკატმა მტკიცებულების სახით კოლეგიას წარმოუდგინა 13.10.2023 წელს გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ დასკვნის შედგენა შეუძლებელია. ადვოკატმა თავისი განცხადებით იკითხა - ფეისბუქ გვერდზე სახელწოდებით „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი . lawyer lasha janibegashvili" 2022 წლის 16 და 21 აპრილს განთავსებული ფეისბუქ სტატუსები როდის და რომელი აიპი კოდიდან შეიქმნა და როდის და რომელი აიპი კოდიდან წაიშალა. გამოკვლევის შედეგად მოხდა ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის კუთვნილ გვერდზე „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი . lawyer lasha janibegashvili" ავტორიზაცია და გვერდი დათვალიერდა. დათვალიერების შედეგად, გვერდზე არ დაფიქსირდა 2022 წლის 16 და 21 აპრილის „პოსტები" და მათთან დაკავშირებული ინფორმაცია. კერძოდ, „პოსტების" გამოქვეყნებისა და წაშლის თარიღები და დროები და ასევე, დაკავშირებული IP მისამართების შესახებ ინფორმაცია - რომელი მისამართიდან გამოქვეყნდა და წაიშალა პოსტები.

საჩივრის ავტორმა დამატებით წარმოადგინა ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში წარდგენილი 2022 წლის 16 აპრილის N01/13-3690, 2022 წლის 17 აპრილის N01/13-36091 და 2022 წლის 19 აპრილის N01/13-37134 წერილი. „Facebook" მომხმარებლის „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი . lawyer lasha janibegashvili" მეშვეობით გამოქვეყნებული „პოსტი" შინაარსით: „მაინტერესებს ვიმსჯელოთ:-დავუშვათ პროკურატურას ვაგინე დედის ტ@ი. დედა ჰყავს პროკურატურას?? თუ არ ვიცი რამე". პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად, გარდა იმისა, რომ განცხადებათა შინაარსი - აზრი ემთხვევა სადავო პოსტის შინაარსს, განცხადებაში რომლითაც ადვოკატი მიმართავს პროკურატურას, ცალსახად არის მითითება, რომ მის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებულ პოსტს მოჰყვა მოწონება არაერთი ადამიანის მიერ და დართულია პოსტის ბმული, რომელიც ანალოგიურია იმ ბმულისა, რასაც წაშლამდე განთავსებული იყო სადავო პოსტი.

ადვოკატი სამართალწამოების დროს სადავო საკითხთან დაკავშირებით მუდმივად იცვლიდა პოზიციებს: კერძოდ, ადვოკატის განმარტებით, საქმეზე დართული მიმოწერები ავთენტური არაა და წარმოდგენილ მტკიცებულებას სადავოდ ხდის, რადგან პროკურატურა აღნიშნული სიტყვებით არ მოუხსენებია. ამასთან, ადვოკატი განმარტავს, რომ ის არც სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატია და არც პროცესის მონაწილე, შესაბამისად საქმეზე წარმოება უნდა შეწყდეს. ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ არ იცნობს ირაკლი ცირეკიძეს და ის არის არასათანადო მოპასუხე. ამავდროულად, ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა 2022 წლის 3 აგვისტოს ელ ფოსტიდან ----, ეთიკის კომისიის იურისტის ელ. ფოსტაზე m.inasaridze@gba.ge გააგზავნა შეტყობინება: „ჩემზე ზეწოლა შეწყვიტეთ წინააღმდეგ შემთხვევაში გავმართავ ბრიფინგს და ღიას დავადანაშაყლებ პროკურტურასთან თანამშომლობაში გარკვეულ ეთიკის წევრებს მაგ საქმეში მეროგორც ადვოკატი არ ვმოქმედებ დაზარალებული მოქალაქე რომელზეც მრავალჯერ მოხდა თავდასხმა და პროკურატურის თანამშროლები დამნაშავეებს მფარველობენ. ირაკლი ცირეკიძე როგორც ჩემთვის ცნობილია ერთ ერთი 10 ჯერ ნასამართლევი პირის, რომელსაც დღემდე ეძებენ, ნანა ხუჯაძის, ახლო მეგობარია, შესაბამისად დამნაშავეებს მფარველობენ“. ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა 2022 წლის 19 აგვისტოს ელ ფოსტიდან ----, ეთიკის კომისიის იურისტის ელ. ფოსტაზე ethics@gba.ge გააგზავნა შეტყობინება: „ჩვენ გვაქვს შემაშფოთებლად დაბალი დონე სამართალწამოების მხრივ: ამის ნათელი მაგალითია გენ პროკურატურა ჩემზე უამრავ საჩივრებს განუხილველად ტოვებს მაშინ როცა ჩემზე და ჩემს ოჯახზე არაერთი თავდასხმაა მოხმდარი საქმეებს ფორმალურად აწარმოებენ, მაგ კ. ნ. და ვ. გ. დიდუბე ჩუღურეთში 20 ტომი აქვთ ბ. პ.-ს არასამთავრობო ორგანიზაციის დანაშაულებზე რომელიც გენ ინსპექციაში მუშაობენ და სავარაუდოდ მომჩივანის ახლო მეგობრები არიან. პირად სმსებს ლაშა ჯანიბეგაშვილიდან სადავოდ ვუხდი; მეორე პრეტენზიაზე არასათანადო მოპასუხეა გენ პროკურატურა სათანადო ადრესატი ვ. გ. და კ. ნ., რომლებიც არ ასრულებენ ჯეროვნად სამსახურებრივ მოვალეობას.“

შეჯამების შედეგად, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობით, კოლეგიას მიაჩნია, რომ 2022 წლის 16 აპრილსა და 21 აპრილს სოციალურ ქსელ „Facebook“-ში სადავო საჯარო პოსტები გამოქვეყნებულია ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *მხარეთა წერილობითი და ზეპირი პოზიციები*
2. *2022 წლის 16 აპრილისა და 21 აპრილის ფბ პოსტები, წარმოდგენილი „სქრინების“ სახით*
3. *2022 წლის 03 ოქტომბერს საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა*
4. *13.10.2023 წელს გაცემული ექსპერტიზის დასკვნა*
5. *2022 წლის 16 აპრილის N01/13-3690, 2022 წლის 17 აპრილის N01/13-36091 და 2022 წლის 19 აპრილის N01/13-37134 წერილები*
6. *„Facebook“ მომხმარებლის „ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი . lawyer lasha janibegashvili“ მეშვეობით გამოქვეყნებული პოსტი*
7. *ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის ელ ფოსტიდან ---- ეთიკის კომისიასთან 2022 წლის 3 და 19 აგვისტოს განხორციელებული მიმოწერა*

6. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ დარღვეულია პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულება:

ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).

ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს; ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები 9.1 და 9.4).

7.2 ადვოკატის პროფესია არის თვითრეგულირებადი, ღირსეული და საპასუხისმგებლო. ადვოკატი არის დამოუკიდებელი საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს სრულ თავისუფლებას. პროცესის მწარმოებელ ორგანოსთან ურთიერთობის სტანდარტის დაცვა ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. ადვოკატის არაეთიკური ქცევა იწვევს ეთიკური სტანდარტის დარღვევის პროპორციულ პროფესიულ პასუხისმგებლობას.

7.3 ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლება, მჭიდროდაა დაკავშირებული ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობასთან. ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება მოიცავს როგორც მის მიერ გამოხატული ნებისმიერი იდეისა და ინფორმაციის შინაარსს, ასევე მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული კომენტარ(ებ)ის გაკეთების უფლებას. თუმცა ევროპული სასამართლოს მიერ მრავალ საქმეში მითითებული სტანდარტის თანახმად, კრიტიკა არ შეიძლება გასცდეს დასაშვებ საზღვრებს (Morice v. France, p.134, 2015).

7.4 ევროპული სასამართლოს განმარტებით ერთმანეთისაგან ფუნდამენტურად უნდა განვასხვავოთ ადვოკატები და ჟურნალისტები. ხსენებული იმით აიხსნება, რომ ადვოკატებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, ისინი ემსახურებიან მართლმსაჯულების განხორციელებას და არ აკისრიათ „დემოკრატიის მოდარაჯის როლი," როგორც ჟურნალისტებს (Studio Monitori and Others v. Georgia, 2020, § 42, და Morice v. France 2015, §§ 148 და 168). ადვოკატი არ შეიძლება მიიჩნიონ ასევე ობიექტურ დამკვირვებლად, რომელსაც აკისრია საზოგადოების ინფორმირების პასუხისმგებლობა, რადგან ადვოკატი უშუალოდაა ჩართული და წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ნაწილს. ადვოკატის მიერ გაკეთებული კომენტარები შესაძლოა ჩაითვალოს მართლმსაჯულების სისტემის სხვა მონაწილეების (სასამართლო, პროკურატურა, შსს, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი) პატივის, ღირსების, რეპუტაციის შემლახველად.

7.5 ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში, რომელიც ეხებოდა ადვოკატის მიერ გამოხატვის თავისუფლების დასაშვებ ფარგლებს, სასამართლო ძირითადად მსჯელობდა

ეროვნული ორგანოების მიერ ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის საკითხზე. პროპორციულობის შეფასებისას სტრასბურგის სასამართლო რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ამახვილებდა ყურადღებას:

1. ადვოკატის სტატუსი მართლმსაჯულების სისტემაში და მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობებზე;
2. ადვოკატის პროფესიის ღირსებასა და რეპუტაციასთან დაკავშირებული საკითხებზე;
3. კონკრეტული გამონათქვამების შინაარსსა და გამოყენებული გამონათქვამების ეთიკურობაზე;
4. შესაძლოა ჩათვლილიყო თუ არა კონკრეტული კომენტარები საზოგადოების შეცდომაში შემყვანად ან კონკრეტული პირის შეურაცხყოფად;
5. ჯეროვნად იყო თუ არა დაკავშირებული კონკრეტული გამონათქვამები/კომენტარები კონკრეტული საქმის ფაქტებთან (Mor v. France, 2011, § 53);
6. ზოგადი კონტექსტის მიმოხილვაზე, რომელშიც იქნა გაკეთებული ცალკეული ადვოკატის მიერ კომენტარები (მაგალითად საჯაროდ, სასამართლო დარბაზში თუ ადმინისტრაციულ შენობაში).
7. რა სახის სახდელი/სანქცია დაეკისრა ადვოკატს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას (სისხლის სამართლებრივი, ფინანსური, დისციპლინური).

ევროპული სასამართლოს განმარტებით ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და იგი შეიძლება შეიზღუდოს. თუმცა შეზღუდვა უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომელიც მოცემულია ევროპული კონვენციის მე-10 მუხლში. კერძოდ, შეზღუდვა:

1. გათვალისწინებული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით (კანონმდებლობა თავის მხრივ უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი);
2. უნდა ემსახურებოდეს კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ რომელიმე კანონიერ მიზანს;
3. უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში ანუ იყოს პროპორციული. (Handyside v. The United Kingdom 1976)

7.6 ადვოკატის გამონათქვამების მართებულობის შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ სად გაკეთდა კომენტარები, სასამართლო დარბაზში, ადმინისტრაციულ შენობაში თუ საჯაროდ (პრესკონფერენციაზე, სოციალურ ქსელში და ა.შ.). სასამართლო დარბაზში გაკეთებულ განცხადებებთან მიმართებით, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით გაიმეორა თუ არა იგივე კომენტარები შემდგომ საჯაროდ, ადვოკატს გამოხატვის ბევრად უფრო ფართე თავისუფლება გააჩნია. მართლმსაჯულების სისტემის მონაწილეების საჯარო კრიტიკის შემთხვევაში ადვოკატს ბევრად მეტი წინდახედულება მართებს (*Saday v. Turkey* § 43, 2006).

7.7 შესაბამისი საქმეების განხილვისას ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე კონკრეტული გამონათქვამი წარმოადგენს კრიტიკას თუ შეურაცხყოფას. იმ შემთხვევებში თუკი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რწმუნდება, რომ კონკრეტული გამონათქვამი არ ემსახურებოდა მართლმსაჯულების კრიტიკას, მოსამართლის ან პროკურორის კონკრეტული ქმედების, სტრატეგიის კომენტირებას, და მიზნად ისახავს მხოლოდ შეურაცხყოფის მიყენებას, ევროპული სასამართლო ამართლებს ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას (*Skałka v. Poland*, p.33, 2003).

7.8 ეთიკის კომისიამ შეაფასა ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ კონკრეტული პროკურორების და პროკურატურის მისამართით გაკეთებული გამონათქვამები და დაადგინა, რომ მისი მხრიდან ვლინდება დისციპლინური გადაცდომა, კერძოდ - პროცესის მონაწილესთან კომუნიკაციის სტანდარტის დარღვევა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5 (გ), ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.1).

7.9 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა 2022 წლის 16 და 21 აპრილს გამოაქვეყნა „Facebook" პოსტი, რომლებიც მიემართება პროკურორებს ვ. გ.-სა და კ. ნ.-ს და პროკურატურას. განხილვის კოლეგია სამართალწარმოებაში მონაწილე პირის, ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის ქცევის შეფასების დროს ითვალისწინებს იყო თუ არა ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ გამოთქული მოსაზრებები შეურაცხმყოფელი და ექცეოდა თუ არა გამოხატვის თავისუფლებით დადგენილ ფარგლებში. „Facebook" პოსტში მითითებული ყოველი ფრაზა, სადაც შინაარსი იმგვარია, რომ ადვოკატი პროკურატურის თანამშრომლებს მოიხსენიებს როგორც „ქვეყნის მოღალატეებს"; „სახელმწიფოს მტრებს"; „ქვეყნის შემარცხვენლებს"; „გამყალბებლებს"; „მექრთამეებს", ხოლო საქართველოს პროკურატურას კი „გველების ბუდედ", არ შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებ კრიტიკად, რადგან ის გადმოცემულია უხამსი ფორმით და შეურაცხმყოფელი ხასიათისაა. კონკრეტული პროკურორები და პროკურატურა მოხსენიებულია არაეთიკური, აგრესიული და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით.

7.10 საქართველოს გენერალური პროკურატურა აწარმოებდა ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის პირად საქმეს და ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს უფლება ჰქონდა გაეკეთებინა საჯარო განცხადებები პროკურატურის შესახებ, მათ შორის კრიტიკული შინაარსის, მაგრამ მისი კრიტიკა არ უნდა გასცდენოდა განსაზღვრულ ფარგლებს. ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის მიერ „Facebook" პოსტის გამოქვეყნების მიზანს წარმოადგენდა პროკურორთა დამცირება, მათი პატივისა და ღირსების შელახვა და პროკურატურის სისტემის დისკრედიტაცია, რაც ვერ ისარგებლებს კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით.

7.11 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ლაშა ჯანიბეგაშვილმა დაარღვია პროცესის მონაწილესთან კომუნიკაციის სტანდარტი, რის გამოც დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

7.12 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

7.13 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია" (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 22.05.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმე Nდს-შ/3-17).

7.14 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

7.15 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

7.16 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

7.17 განხილვის კოლეგიამ სახდელის პროპორციულობის დასაბუთების ნაწილში გამოიკვლია ევროსასამართლოს პრაქტიკა. კერძოდ: ადვოკატების მიერ საჯაროდ გამოთქმულ კონკრეტულ გამონათქვამებთან დაკავშირებით, ევროპულ სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები აქვს მიღებული:

საქმეში Meister v. Germany (1995), ადვოკატმა მოსამართლის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას უწოდა „მიკერძოებული ლაყბობა“, „გადაწყვეტილება წარმოადგენს უსირცხვილო თავხედობისა და სიმართლისგან დაცლის მაგალითს“. ევროპულმა სასამართლომ სამართლიანად ჩათვალა ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენება (გაფრთხილება და ფულადი ჯარიმა) და საქმე არ მიიღო არსებითად განსახილველად;

საქმეში W.R. v. Austria (ადამიანის უფლებათა კომისიის გადაწყვეტილება 1997) ადვოკატმა „აბსურდული“ უწოდა მოსამართლის მოსაზრებას. ევროპულმა სასამართლომ გამართლებულად ჩათვალა ეროვნული სასამართლოების მიერ ფინანსური ჯარიმის დაკისრება განმცხადებლისათვის;

საქმეში Mahler v. Germany (ადამიანის უფლებათა კომისიის გადაწყვეტილება 1998), მომჩივანმა განაცხადა, რომ პროკურორმა საბრალდებო დასკვნა შეადგინა „სრულად გაბრუებულ“ მდგომარეობაში. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ჯეროვნად შეუფარდეს მომჩივანს ფინანსური ჯარიმა და საქმე არ მიიღო არსებითად განსახილველად;

საქმეში Saday v. Turkey (2006) მომჩივანმა თურქეთის მოსამართლეებს უწოდა „მანტიაში გამოწყობილი ჯალათები“. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ ასეთი გამონათქვამის

გაკეთება დაუშვებელი იყო და იგი გამართლებულად მიიჩნევდა ხსენებული გამონათქვამისათვის მომჩივანის დასჯას (მაგალითად ჯარიმის დაკისრებას). თუმცა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა მხოლოდ იმის გამო, რომ დაკისრებული სანქცია (2 თვე სამარტოო საკანში მოთავსება) არაპროპორციულად მიიჩნია.

საქმეში Žugić v. Croatia (2011) მომჩივანმა ეროვნულ მოსამართლეს უწოდა „უცოდინარი და არაკომპეტენტური". ხსენებულის გამო ეროვნულმა სასამართლოებმა მას დააკისრეს ფინანსური ჯარიმა. ევროპულმა სასამართლომ ჯეროვნად მიიჩნია დაკისრებული ჯარიმის ოდენობა და განაცხადა, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვა ემსახურებოდა კანონიერ მიზნებს (მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელება, სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა).

საქმეში Kinces v. Hungary (2015) მომჩივანმა „პროფესიულად არაკომპეტენტური" უწოდა მოსამართლეს. ხსენებულის გამო ადვოკატთა ეთიკის კომისიამ მას მისცა გაფრთხილება და დააკისრა ფინანსური ჯარიმის გადახდა. ევროპულმა სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და არ დაადგინა გამოხატვის თავისუფლების დარღვევა.

ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო ევროპულმა სასამართლომ საქმეში Kapretas v. Greece (2012), სადაც ადვოკატმა პროკურორი დაადანაშაულა კორუფციაში იმის გამო, რომ პროკურორმა და მოსამართლემ წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს კონკრეტული პირი, რომელიც შემდგომში დამნაშავედ იქნა მიჩნეული. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადვოკატს არ წარმოუდგენია საკმარისი მტკიცებულებები, რათა გამართლებული ყოფილიყო პროკურორის და მოსამართლის დადანაშაულება კორუფციაში. შესაბამისად მისთვის დაკისრებული ფინანსური სახდელი (15000 ევრო) სასამართლომ პროპორციულად და გამართლებულად ჩათვალა.

7.18 გადაწყვეტილების მიღებისას განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის დამოკიდებულებას საკითხისადმი პროკურატურაში არსებული პირადი დავის გამო; ეთიკის კომისიის მიერ საქმის განხილვისას გამოჩენილ უპატივცემულობას როგორც ეთიკის კომისიის წევრების, ასევე პროკურატურის წარმომადგენლის მიმართ და მიიჩნევს, რომ ადვოკატი ლაშა ჯანიბეგაშვილი ვერ აცნობიერებს ჩადენილი ქმედების არაეთიკურ ხასიათს. ადვოკატის ქმედებით დაზიანდა ადვოკატის პროფესიის რეპუტაცია, შესაბამისად მისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ვერ იქნება ქმედითი დისციპლინური ღონისძიება. ამავე დროს განსახილველ ფაქტზე ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი შეიძლება იყოს მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან მიმართებით. ეთიკის კომისიამ შეისწავლა ადვოკატის დისციპლინური ისტორიაც და გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის მოპასუხე ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი.

7.19 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №033/22 დადგინდეს ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილის /სიითი №6128/ მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ ლაშა ჯანიბეგაშვილს დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ბესარიონ ბოხაშვილი/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/